ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ნაკრები — ქალთა შორის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი!



მაია ჩიბურდანიძე



ნანა იოსელიანი



ქეთევან არახამია



ნინო გურიელი

23-30 დეკემბერი 1994 წ. ● №42 (10910)
ფასი 600 რუბლი.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## შეხვედრა ლაურეატებთან

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები მოსკოვიდან გვიან ღამით დაბრუნდა თბილისში. მეორე დილით ოლიმპიადის ლაურეატები მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ. ინფორმაცია გააკეთა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. შუბლაძემ. ოლიმპიადის ლაურეატებმა ილაპარაკეს ასპარეზობის პერიპეტიებზე და მომავლის გეგმებზე.

ე. შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა მოჭადრაკეებს და მათ ხელმძღვანელებს მიღწეული თვალსაჩინო წარმატებისათვის, იმედი გამოთქვა, რომ მოჭადრაკეები მომავალშიც არაერთხელ გაახარებენ ჩვენს ხალხს, საქართველოში სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისთვის ალბათ მეტის გაკეთება იქნება საჭირო, ხოლო რაც შეეხება მოჭადრაკე ქალებს, ისინი ჩვენი ქვეყნის მაღალ ჯილდოს იმსახურებენ.

შეხვედრას ესწრებოდნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. ბაგრატიონი და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი ვ. ლორთქიფანიძე.

ორშაბათს ტრადიციულ რადიოინტერვიუში ჟურნალისტ ნატო ონიანის შეკითხვას, რომელიც მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდის წარმატებას შეეხებოდა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა:

„ჭადრაკში წარმატება პირდაპირი მნიშვნელობითაც სასიხარულოა და მე სწორედ ასეთი სიხარულითა და განცდით მივულოცე მათ დიდი გამარჯვება. ეს წარმატება მნიშვნელოვანია სიმბოლურადაც, იქნებ სწორედ ამ მეორე მხარეს ვანიჭებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მთავარია, არ ჩაქრეს ჩვენი ხალხის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც ევროპული და მსოფლიო მიღწევათა დონეზეა. მოკლე დროში გავივლით ჩვენს წილ გასავლელ გზას და ქვეყანა შეუდგება ნორმალურ ცხოვრებას. ღმერთმა ქნას, რომ მოჭადრაკეთა ეს ტრიუმფული გამარჯვება ასეთ ძნელ პირობებში ახალი აღმავლობის დასაწყისი გამხდარიყოს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. მჯერა, რომ ასე იქნება."

## ასახელებენ უძლიერესებს

გერმანიის წლის საუკეთესო სპორტსმენებად აღიარებული არიან: ვაჟებში — მარკუს ვაისმაიერი (ლილეჰამერის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი სლალომში) და კატია ზაიცინგერი (ლილეჰამერის ოლიმპიური ჩემპიონი სწრაფდაშვებაში). შეგახსენებთ, რომ სამთომოთხილამურეები გერმანიის საუკეთესო სპორტსმენებად დასახელებული იყვნენ ორჯერ — 1968 (ფრანც კელერი) და 1980 წლებში (ირენ ეპლე).

## „საქართველომ დაადასტურა, რომ საჭადრაკო ქვეყანაა" — ამბობს გარი კასპაროვი

საყოველთაოდ ცნობილია: ჩემპიონობის შენარჩუნება გაცილებით ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. ეს, რა თქმა უნდა, საჭადრაკო ოლიმპიადებსაც ეხება: სისტემატურად იზრდება მონაწილეთა რაოდენობა, მწვავდება ბრძოლა პირველი ადგილისთვის, სულ უფრო მეტად იმაღლებს ხმას ახალი თაობა და ა.შ.

და ასეთ პირობებში საქართველოს ქალთა ნაკრების მიღწევა მოსკოვის ოლიმპიადაზე ნამდვილი სპორტული გმირობის ტოლფასია. მან შეინარჩუნა 1992 წელს მანილაში მოპოვებული ჩემპიონობა — მეტი უპირატესობით, მეტი ბრწყინვალებით. მანილის ოლიმპიადასთან შედარებით ჩვენს გუნდში მხოლოდ ერთი ცვლილება იყო — მრავალგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის ნაცვლად, რომელმაც გზა ახალგაზრდებს დაუთმო, გამოდიოდა ქეთევან არახამია.

ჯერ ჩვენი მოჭადრაკეების განვლილი გზა გავიხსენოთ. პირველი და მეორე მატჩის (ავსტრალიელებთან, შემდეგ კი ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ნაკრებებთან) „მშრალი" ანგარიშით — 3:0 მოგებით იგი პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა. სწორედ ამის გამო შეხვედრა მესამე ტურში ასეთივე შედეგის მქონე უნგრეთის ნაკრებთან, ყაიმით აღინიშნა (1,5:1,5) შემდგომი 8 მატჩი ჩვენმა გუნდმა ბრწყინვალედ მოიგო (სომხეთთან 3:0, იუგოსლავიელებთან, ჩინელებთან, რუმინელებსა და მოლდაველებთან თანმიმდევრობით 2,5:0,5, რუსეთის პირველ გუნდთან, ისრაელსა და ყაზახეთთან 2:1), რის შემდეგ საგრძნობი მანძილით ჩამოიტოვა მთავარი მეტოქე — უნგრეთის გუნდი და ფაქტობრივად პირველი ადგილი გაინაღდა, თუმცა მის წარმატებაში ადრეც არავის ეპარებოდა ეჭვი. დარჩენილ 3 ტურში (უკრაინასთან 1,5:1,5, რუსეთის მეორე ნაკრებთან 2,5:0,5, ვიეტნამელებთან 1,5:1,5) გუნდმა საბოლოოდ „გააფორმა" თავისი უძლეველობა.

მოვუსმინოთ გუნდის კაპიტანს, საერთაშორისო დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას:

— „ჩვენ, ცხადია, ვიცოდით, რომ პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ძირითადი მეტოქე უნგრეთის გუნდი იქნებოდა, რომელიც 1988 და 1990 წლების საჭადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონი გახლდათ, ამასთან, მანილის ოლიმპიადისგან განსხვავებით, ამ გუნდში ჟუჟა და სოფია პოლგარებსაც უნდა ეთამაშათ,

იხ. მე-2 გვ.

თბილისის სპორტკომიტეტი მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავს საქართველოს ქალთა გუნდს.

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ლანჩხუთის „გურიის" ყოფილ მწვრთნელს შალვა კაკაბაძეს დაბადების დღეს ვულოცავთ და მადლობას ვუხდით იმ დიდი სიხარულისათვის, რომელიც მან თავის დროზე მოუტანა „გურიის" გულშემატკივრებს, როცა რაიონული მასშტაბის ამ გუნდმა, მისი ხელმძღვანელობით, გზა გაიკაფა ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში.

„გურიის" 1960-70-იანი წლების გულშემატკივრები: ანზორ ნოდია, ამირან შუბლაძე, გივი ელოშვილი, რამაზ გოგატიშვილი, ჯემალ ყიფიანი, დავით ჩხენკელი, ჯემალ არჩუაძე, ოთარ მგალობლიშვილი, გოგი ძნელაშვილი.

## ალბანეთიდან + 3

ამაოდ არ ვღელავდით: საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს, მართლაც, მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა სტუმრად ტირანაში და თუ მაინც მიაღწია საწადელს, ამაში, როგორც იქნა, სასიკეთოდ შემოტრიალებულ ბედ-იღბალსაც უნდა უმადლოდეს, რომელიც ასე აკლდა ჩვენს ნაკრებს მოლდოვისა და ბულგარეთის გუნდებთან ჭიდილში. მაგრამ თავი და თავი მიღწეულ წარმატებაში უთუოდ უნდა ვეძიოთ სწორად შერჩეულ სათამაშო გეგმაში, სადაც პრიორიტეტი დაცვითი რიგების გაძლიერებასა და გამაგრებას მიეცა. სწორედ ამიტომ ჩვენების თამაშმა შესაძლოა მომხიბვლელობა და ხიბლი დაკარგა, მაგრამ ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურებოდა — უაღრესად საჭირო სამი ქულის აღებას.

**14 დეკემბერი. ტირანა. „ომალ სტაფას" სტადიონი. 30.000 მაყურებელი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: ალბანეთი (ნაკრები) — საქართველო (ნაკრები) 0-1.**

მსაჯები: ჰ. მოლნარი, ს. შილაგი, ლ. ვარგა, (ყველანი უნგრეთიდან).

ალბანეთი: სტრაკოშა, დედვა, კაჩაი, ჯუმბა, ვატა (შულკუ), ლეკბელო (ბალკო). ფორტუზი, ბელაი, კოლა, რაკლი, დემოლარი; საქართველო: დევაძე, რევიშვილი, კუდინოვი, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი (მ. ჯიშკარიანი), ინალიშვილი, გოგრიჭიანი, ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (ჯამარაული).

იხ. მე-2 გვ.

## ხრისტო სტოიჩკოვი — ევროპის №1 ფეხბურთელი

ფრანგულ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის" ფრიად პრესტიჟული ჯილდო „ოქროს ბურთი" მიენიჭა ცნობილ ბულგარელ ფეხბურთელს, ესპანეთის „ბარსელონის" თავდამსხმელს 28 წლის ხრისტო სტოიჩკოვს.

## გიორგი ვაზაგაშვილი მეხუთე იყო

**ძიუდოისტთა საერთაშორისო კალენდარში ძიგარო კანოს თასის გათამაშებას, რომელიც სისტემატურად ეწყობა იაპონიაში, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოს ჩემპიონატთან და ოლიმპიურ ტურნირთან ერთად.**

წლევანდელ ასპარეზობაში თავი, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა გამოიჩინეს, რომლებიც რვიდან ექვს ოქროს მედალს დაეპატრონენ. ასევე წარმატებით იასპარეზეს გერმანელმა ძიუდოისტებმა. მათ ორი უმაღლესი ჯილდო ხვდათ. საქართველოს წარმომადგენელმა გიორგი ვაზაგაშვილმა, რომელიც 65 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, მეხუთე ადგილი დაიკავა.

ჩემპიონები გახდნენ: 60 კგ. რიუძი სონოდა, 65, იუკიმასა ნაკამურა (ორივე — იაპონია), 71. მარტინ შმიდტი (გერმანია), 78. იუჩი ნაკანო, 86. ხიდეხიკო იოშიდა, 95. შიკერუ ოკაიზუმი (სამივე — იაპონია), +95. ფრანკ მოლერი (გერმანია), ღია პირველობა მოიგო იოშიხარუ მაკიშიმ (იაპონია).

# „საქართველომ დაადასტურა, რომ საჭადრაკო ქვეყანაა“ — ამბობს გარი კასპაროვი

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე)

მათი უმცროსი და იუდითი კი უნგრეთის ვაჟთა ნაკრებს ლიდერობდა. და აი, ამ ორმა პოლგარმა საქართველოს ნაკრებთან ვერაფერი გააწყო. მე თავიდანვე ვფიქრობდი, რომ უნგრელებს პრობლემები ექნებოდათ მესამე დაფაზე, იქ არ შეეძლოთ ისეთივე ძლიერი მოჭადრაკის გამოყვანა, როგორიც პოლგარებია. ეს გამართლდა კიდეც — მესამე დაფაზე მართლაც სუსტი შედეგები ჰქონდათ, ჩვენი გუნდი კი თავიდან ბოლომდე თანაბრად თამაშობდა და მისი გამარჯვება ყველამ სრულიად დამსახურებულად ჩათვალა. ცხადია, ბედნიერები ვართ!“

საერთაშორისო დიდოსტატი ნინო გურიელი: „ჩვენ მხოლოდ პირველი ადგილი გვაძლევდა ხელს, გვინდოდა ჩვენი ხალხის გახარება. გუნდის ყველა წევრმა ძალიან კარგად ითამაშა. გამარჯვება 80 მეტოქესთან ბრძოლაში მოვიპოვეთ“.

ამ სიტყვებს მხოლოდ ის უნდა დავუმატოთ, რომ 42 პარტიიდან ჩვენმა ქალებმა 32 ქულა მოაგროვეს, რაც უდავოდ დიდი მიღწევაა. წააგეს მხოლოდ ერთი პარტია, რაც ასევე სარეკორდო მონაცემი გახლავთ.

როგორც ცნობილია, ოლიმპიადებზე მთავარია გუნდური შედეგი, მაგრამ აჯილდოვებენ, აგრეთვე, დაფებზე გამარჯვებულებს. აი, აქ კი ერთი თავისებურების განმარტება მოგვიხდება. დაფებზე პირველი ადგილი რომ მოიპოვო, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვის, როგორი სიძლიერის მოჭადრაკეებს ეთამაშები, მთავარია მოაგროვო მეტი ქულა. ერთი სიტყვით, თუ პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძე უნდა შეხვედროდა ჟუჟა პოლგარს (პარტია ყაიმით დასრულდა), მსოფლიო ჩემპიონ სიე ჟუნს (რომელსაც ბრწყინვალედ მოუგო, ისევე, როგორც მანილაში), იუგოსლავიელთა ლიდერს ალისა მარიჩს, პრეტენდენტთა უკანასკნელი ასპარეზობის მონაწილეს, რუმინელ კრისტინა ადელა ფოიშორსა და სხვა. ცნობილ დიდოსტატებს, რომლებთანაც, ცხადია, სრულიადაც არ იყო იოლი თამაში. ზუსტად ამავე დროს რომელიმე სუსტი გუნდის ლიდერი, ვთქვათ საშუალო ძალის ოსტატი, ადვილად გაუსწორდებოდა ასეთივე უმნიშვნელო ძალის გუნდების წარმომადგენლებს. მას ხომ მცირე წინააღმდეგობა ხვდებოდა, არც ერთ დიდოსტატს არ ეთამაშებოდა. ამიტომაც ხდება, რომ წამყვანი ნაკრებების ლიდერები იშვიათად იმარჯვებენ პირველ დაფაზე, პრიზს სრულიად უცნობ ან, უკეთეს შემთხვევაში, ნაკლებად ცნობილ ოსტატებს უთმობენ. სწორედ ამით აიხსნება, რომ მაია ჩიბურდანიძემ, თუმცა მთელი შეჯიბრება ჩინებულად წარმართა, მხოლოდ ბრინჯაოს მედალი მიუმატა გუნდურ ოქროს, ჟუჟა პოლგარს ოდნავ ჩამორჩა, რომელიც მეორე იყო. ნანა იოსელიანმა, რომელიც ახლა ისევ ძლიერად თამაშობდა, როგორც მანილაში, თავის დაფაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

რა შეიძლება ითქვას ჩვენი ვაჟების გამოსვლაზე?

ჯერ თანმიმდევრობით გავიხსენოთ მათ მიერ ნათამაშევი მატჩები. პირველ და მეორე დღეს ქართველმა მოჭადრაკე ვაჟებმა გაიმარჯვეს 3,5:0,5 და 2,5:1,5 პარაგვაისა და მაკედონიის გუნდებთან. ეს უდავოდ კარგი დასაწყისი იყო. მესამე დღეს მარცხი (1:3) განიცადეს სომხეთის ნაკრებთან; მატჩში, სადაც დიდხანს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ. ამას მოჰყვა მოგება (3,5:0,5) პორტუგალიელებთან, ყაიმი (2:2) ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ძლიერ გუნდთან და წაგება (1:3) ლატვიელებთან. ამ მომენტისთვის გუნდის მდგომარეობა აშკარად არასახარბიელო იყო, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ვაჟებმა იშვიათი შეუპოვრობა გამოავლინეს, ზედიზედ 4 მატჩი მოიგეს: ინდონეზიელებთან (3,5:0,5), არგენტინელებთან (3:1), ისლანდიელებთან (3,5:0,5), რუსეთის მეორე ნაკრებთან, რომელიც ახალგაზრდა დიდოსტატებით იყო დაკომპლექტებული — (2,5:1,5). ამ მომენტისთვის, 10 ტურის შემდეგ ჩვენი გუნდი სატურნირო ცხრილში (126 გუნდს შორის) პირველ-მეოთხე ადგილებს იყოფდა, რამაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ასეთ სიმაღლეზე გამაგრება არ მოხერხდა: XI ტურში ჩვენი გუნდი დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, რუსეთის პირველ გუნდთან — 1:3 (კასპაროვი, კრამნიკი, ბარეევი, ტივიაკოვი), შემდეგ ჩეხებთანაც — 1,5:2,5, მაგრამ ორი გამარჯვებით დაასრულა შეჯიბრება: ესპანელებთან — 2,5:1,5 და ესტონელებთან — 2,5:1,5.

საბოლოოდ 33,5 ქულა და VIII-XII ადგილები. უფრო კონკრეტულად, დამატებითი მონაცემებით X ადგილი.

საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელი ვაჟა შუღლაძე:

— ჩვენი ვაჟები დიდი მონდომებითა და შეუპოვრობით თამაშობდნენ. მე განსაკუთრებით მინდა გამოვყო გუნდის ლიდერი ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელმაც, ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია პირველ დაფაზე განთქმულ დიდოსტატებთან ბრძოლაში (ეს საჭადრაკო ენაზე შესაძლებელ ქულათა 50 პროცენტზე ორი ქულით მეტს ნიშნავს და ჩვენი გამობრძმედილი დიდოსტატი გენადი ზაიჩიკი, რომელიც ფორმალურად სათადარიგო მოჭადრაკედ ითვლებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ თითქმის ყველა პარტიის თამაში მოუხდა და მშვენივრად გაართვა თავი სიძნელეებს.

საერთაშორისო დიდოსტატი ზურაბ სტურუა: „ნუ დაგვავიწყდება ისეთი ფაქტორიც, რომელსაც იღბალი ჰქვია. პირდაპირ გასაოცარია: ტყუილ- უბრალოდ რამდენი ქულა დავკარგეთ, მოწინააღმდეგეებს კი ჩვენთვის, ნახევარი ქულა რა არის, ისიც არ „უჩუქებიათ“, ყველაფერი ბრძოლით მოვიპოვეთ“.

ვაჟთა გუნდის კაპიტანი, საერთაშორისო ოსტატი თამაზ ტაბატაძე: „წინა ოლიმპიადაზე მანილაში გუნდმა VIII ადგილი დაიკავა. ამჯერად მეტი გვინდოდა, თუმცა, მშვენივრად გვესმოდა, თუ რა სიძნელეებს წავაწყდებოდით. ზოგ შემთხვევაში არ გაგვიმართლა. მეათე ადგილიც კარგი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე მეტად ძლიერ ნაკრებს გავასწარით.“

მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი: „საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საჭადრაკო ქვეყანაა. ქართველ ქალებზე შეიძლება არც ვილაპარაკოთ, მათი წარმატება აღარავის აკვირვებს, საქართველოს ვაჟთა ნაკრებმაც ძლიერი და სტაბილური თამაში გამოავლინა.“

ბივი ბამრეკელი

# ალბანეთიდან + 3

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე)

გოლი: შ. არველაძე.

გააფრთხილეს: ქინქლაძე, ქეცბაია, ჯომბა.

ამ მატჩში დამაჯერებლად ითამაშა დაცვითმა ხაზმა, რომელსაც „აცემენტებდა“ დიმიტრი კუდინოვი (კახი ცხადაძემ ორი გაფრთხილების გამო თამაში გამოტოვა). საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს დაშავებული ნემსაძის ნაცვლად ინალიშვილი ასრულებდა.

ტირანაში გამართული მატჩი დაგვამახსოვრდა ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო ტაიმით: პირველით, როდესაც საქართველოს ნაკრებმა კომბინაციური სტილით დაჯაბნა მეტოქე და ანგარიშშიც დაწინაურდა (გოგიჩაიშვილი-რევიშვილის მიერ წამოწყებული იერიში დამთავრდა გამჭოლი ჩაწოდებით, ალბანელთა მეკარე სტრაკოშამ ელემენტარული შეცდომა დაუშვა და იქვე მდგარმა შ. არველაძემ მშვიდად შეაგორა ბურთი მასპინძელთა კარში) და მეორით, რომელსაც დრო და დრო კოშმარულსაც კი ვუწოდებდით, იმდენად ჩაიკეტნენ ჩვენები დაცვაში, ბურთი სამჯერ მოხვდა ჩვენი კარის ძელს. მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ალბანელმა ჟურნალისტმა ა. ჩივაძეს ხუმრობით ჰკითხა — კარის ძელები თქვენ ხომ არ ჩამოიტანეთ საქართველოდანო. ალბანელთა რიგებში განსაკუთრებით დაგვამახსოვრა თავი 27 წლის რუმინელმა ლეგიონერმა სულეიმან დემოდარმა, რომლის შესრულებული საჯარიმო დარტყმები ძალიან სახიფათო იყო.

აქვე გვინდა შევჩერდეთ ორ დეტალზე, რომელთა გათვალისწინებაც, ალბათ, საქმეს წაადგება. პირველ ყოვლისა, თვალშისაცემი იყო, რომ ჩვენი ლეგიონერები თეიმურაზ ქეცბაია და გოჩა გოგრიჭიანი ერთობ „მძიმედ“ გამოიყურებოდნენ უელსის მატჩთან შედარებით. როგორც გავიგეთ, მათ სწორედ ალბანელებთან მატჩის წინ უთამაშიათ თავიანთ კლუბებში და ფიზიკურად ვერ მოასწრეს ძალების აღდგენა. ამიტომ უფრო პრინციპულნი უნდა ვიყოთ საზღვარგარეთული კლუბების მეპატრონეებთან მოლაპარაკებისას და კატეგორიულად მოვითხოვოთ გამოუშვან ჩვენი ლეგიონერები ხუთი დღით ადრე, როგორც ეს უეფას აქვს დადგენილი.

კიდევ ერთი გარემოების შესახებ. ყოველ მატჩში საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები სრულიად გაუმართლებლად, მარტივ სიტუაციაში იღებენ გაფრთხილებებს (გავიხსენოთ, თუნდაც, რისთვის „აიკიდა“ უელსის გუნდთან ყვითელი ბარათი ცხადაძემ), რაც საბოლოოდ შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს.

მაშასე: გზად ფინალისაკენ დაძლეულია კიდევ ერთი ბარიერი. შემდეგ შეხვედრას ჩვენები უკვე გაისად გამართავენ — 29 მარტს ვმასპინძლობთ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს — გერმანელებს.

ჯემალ ჭიპაშვილი

# მსოფლიო სპორტის სამყაროში

## კალათბურთი

### არვიდას საბონისი — ჩხუბისთავი

ჟურნალისტთა აღიარებით ესპანეთის კალათბურთის ისტორიას არ ახსოვს ასეთი მოურიდებელი სკანდალი.

ჩემპიონატის ერთ-ერთი კალენდარული მატჩის მსვლელობისას („რეალი“ — „კორენ ორენსე“) მადრიდელმა არვიდას საბონისმა წამოიწყო მუშტიკრივი, რომელიც იმავ წუთს მასობრივ ჩხუბში გადაიზარდა. საბონისმა მუშტები დაუშინა ამერიკელ ოპონენტს ჯეიმს ბრისონს, რომელსაც გამოესარჩლა მეორე ამერიკელი „ორენსედან“ ჩანდლერ ტომპსონი, მერე კი დაიწყო მასობრივი ჩხუბი. მასში კალათბურთელთა გარდა მონაწილეობდა მაყურებელი.

15-წუთიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მატჩი განახლდა და ბოლოს დასრულდა „რეალის“ დამარცხებით — 78:79. საბონისი, ბუნებრივია, გააძევეს მოედნიდან და მის საკითხს კალათბურთის ფედერაცია ცალკე განიხილავს.

### პირველი შედეგები

ნბა-ს სტატისტიკოსებმა შეაჯამეს რეგულარული ჩემპიონატის სასტარტო მაჩვენებლები და გამოიყვანეს პირველი ლიდერები:

სნაიპერი. შაკილ ო' ნილი („ორლანდო“) — 11 თამაში, 374 ქულა, 31,2 ბურთი საშუალოდ ერთ მატჩში;

ფარქვეშ ბრძოლა. დევიდ რობინსონი („სან-ანტონიო“) — 13 თამაში, დაეუფლა 175 ბურთს, ერთ მატჩში საშუალოდ 13,5;

შედეგიანი პასები. ჯონ სტოკტონი („იუტა“) — 14 თამაში, 155 პასი;

ჩაჭრილი გადაცემები. სკოტ პიპენი („ჩიკაგო“) — 13 თამაში, 39 გადაცემა;

შედეგიანი სროლა (თამაშიდან). კრის გეტლინგი („გოლდენ სტეიტი“) — 13 თამაში, 76 სროლა, 51 შედეგიანი;

სამქულიანი სროლები. სკოტ ბარელი („შარლოტი“). 12 თამაში. 19 სროლა, 12 შედეგიანი;

საჯარიმოები. მარკ პრაისი („კლივლენდი“). 13 თამაში, 28 სროლა, 27 შედეგიანი.

### ბლეკმენის კონტრაქტი

35 წლის ამერიკელმა კალათბურთელმა როლანდო ბლეკმენმა ხელი მოაწერა კონტრაქტს საბერძნეთის აეკთან და უახლოესი ერთი წლის მანძილზე 300 ათას დოლარს მიიღებს. ბლეკმენმა 13 სეზონი გაატარა ნბა-ში, ბოლოს კი „დალასის“ მცველი იყო.

## ჩოგბურთი

### ჩაო, მარტინა!

22-წლიანი დაძაბული ცხოვრების შემდეგ სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალთა შორის მარტინა ნავრატილოვამ. ამიერიდან ჩემი მთავარი გართობა მოგზაურობა იქნებაო — განაცხადა მან.

მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა მიხაელ შტიხმა (გერმანია) საკუთარი სახსრებით დააარსა შიდსით დაავადებულ ბავშვთა დახმარების ფონდი და შეიტანა 500 ათასი მარკა.

ტრაგიკულად დაღუპულ ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელის ვიტას გერულაიტისის დედა სასამართლოსაგან ითხოვს იმ კოტეჯის გულმოდგინე შესწავლას, სადაც გაატარა მისმა შვილმა სიკვდილისწინა ღამე. ოფიციალური ვერსიის თანახმად გერულაიტისი მოიწამლა გაზით, მაგრამ მისი ვექილის განცხადებით ამ შემთხვევაში ბევრი რამაა გაუგებარი და დამატებით კვლევას საჭიროებს.

### ახალი „დუეტი“ — ბეკერი—ბოლეტიერი

გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს, ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელის ბორის ბეკერის უკანასკნელი ინტერვიუდან, რომელიც მან ჟურნალისტებს მისცა.

● ერთ დროს მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელი იყავით, ახლა კი უკან დაიხიეთ. დაკარგულის დაბრუნებას თუ ისახავთ მიზნად?

— ჩემი მთავარი მიზანია ისე კარგად ვითამაშო, როგორის საშუალებასაც ახლანდელი მდგომარეობა მაძლევს. როგორც იქნა, მოვეკიდე ოჯახს და ჩოგბურთს იმდენ ყურადღებას ველარ ვუთმობ, როგორც ადრე, მაგრამ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას მაინც ვცდილობ. ძალიან მეხმარება ცნობილი სპეციალისტი ნიკ ბოლეტიერი, რომელთანაც ნახევარი წელია ვმუშაობ. მხოლოდ 26 წლისა ვარ, შემიძლია ორიოდე მილი გავირბინო, მინდა ვეთამაშო პიტ სამპრასს, როგორც ტოლი — ტოლს, თორემ ბოლო ხანებში, როგორღაც, იოლად მიგებდა. ასეთია ჩემი მიზნები და ამოცანები.

● მაინც რა შეიტანა ბოლეტიერმა ახალი თქვენს თამაშში? რაიმე ფსიქოლოგიური ნიუანსი, ახალი ტექნიკა?

— აქ სხვადასხვა ფაქტორის მთელი კომბინაციაა. რა თქმა უნდა, ისეთი ჩოგბურთელი, მე რომ ვარ, აღარ დაიწყებს ახალი დარტყმების შესწავლას, არც მიწოდებას შეცვლის. ნიკ ბოლეტიერის მთავარი დამსახურება ის გახლავთ, რომ ახლა კვლავ სიამოვნებას განვიცდი ჩოგბურთის თამაშის დროს.

## მძლეოსნობა

### ვარსკვლავთა მეჯლისი

მონტევიდეოში გაიმართა მსოფლიო მძლეოსნობის ვარსკვლავთა ყოველწლიური საახალწლო მეჯლისი, რომელზეც ყველაზე გამოჩენილი ათლეტები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით. ვაჟთა შორის ჯილდო მიიღო 24 წლის ალჟირელმა მორბენალმა ნურედინ მორსელიმ — მსოფლიოს რეკორდსმენმა 1 მილზე, 1500 და 3000 მეტრებზე რბენაში. ქალებში პრიზის მფლობელი გახდა 32 წლის ამერიკელი ჯეკი ჯოინერ-კერსი (ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი შვიდჭიდში).

ლაურეატთა მთავარი კონკურენტები იყვნენ: სერგეი ბუბკა (უკრაინა), ხავიერ სოტომაიორი (კუბა), სონია ო' სალივანი (ირლანდია) და ირინა პრივალოვა (რუსეთი).

### საიდუმლოდ გაქრა

მსოფლიოს ჩემპიონი 100 მეტრზე თარჯრბენსა და წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგის მფლობელი, ბულგარელი სვეტლანა დიმიტროვა საიდუმლო ვითარებაში გაქრა თავისი ქვეყნიდან.

ამ ფაქტმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და, ბუნებრივია, უამრავი ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრება წარმოშვა.

ყველაზე ნაღდი ვერსია ბულგარეთის მძლეოსნობის ფედერაციის წარმომადგენლებმა წამოაყენეს. მათი განცხადებით მძლეოსანი ამჟამად ვენაში იმყოფება და თავს არხეინად გრძნობს. ნახევრადოფიციალური განცხადების თანახმად სვეტლანას არ სურს მუშაობის გაგრძელება თავის მწვრთნელთან და მეუღლესთან ილია პიშჩიკოვთან და პროტესტის ასეთი ორიგანალური ფორმა გამონახა. მაგრამ ბულგარელები მეორე ვერსიასაც არ გამორიცხავენ. საქმე ის გახლავთ, რომ დიმიტროვამ ამ სეზონში სხვადასხვა პრემიისა და ჯილდოს სახით 80 ათასი დოლარი მიიღო და სამშობლოდან გაქცევით თავი დააღწია ბეგარას.

ასეა თუ ისე, ბულგარეთის მძლეოსანთა ფედერაციამ „ლტოლვილი“ სპორტსმენი გარიცხა თავისი რიგებიდან.

## ველოსპორტი

### „ფესტინა“ — „პეჟოს“ კმაყოფაზე

ცნობილმა საავტომობილო კონცერნმა „პეჟომ“ გადაწყვიტა კმაყოფაზე აიყვანოს პროფესიონალ ველოსიპედისტთა გუნდი „ფესტინა“, რომლის ლიდერია „ტურ დე ფრანსის“ წლევანდელი „მთების მეფე“ და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი რიშარ ვირანკი. გუნდის დირექტორის ბრუნო რუსელის განცხადებით კონტრაქტი სამწლიანია.

### ან ტელეკომენტატორი...

პროფესიონალთა ცნობილი ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ სამგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა გრეგ ლემონდმა გადაწყვიტა თავი დაანებოს სპორტს. ჯანმრთელობა არ მაძლევს საშუალებას ძველებური დატვირთვით ვივარჯიშოო, — განაცხადა სპორტსმენმა ჟურნალისტებთან საუბარში. მომავალი პროფესია ჯერ არ გამოუკვეთია, აპირებს ან ტელეკომენტატორობას ან მენეჯერობას.

„ტურ დე ფრანსის“ პირველი ჩემპიონის მორის გარენის ტრადიციული პრიზი დაიმსახურა იტალიელმა პროფესიონალმა ველოსიპედისტმა „კარერას“ გუნდის წევრმა მარკო პანტანამ.

# სპორტი გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებაში

## აკადემიკოსის მაგალითი

იშვიათი სპორტულობა მერაბ ალექსიძეს ბუნებისაგან ჰქონდა მომადლებული — ყმაწვილობიდანვე გამოირჩეოდა ამტანობით, სიზუსტით, სწრაფი და უტყუარი რეაქციით. ჩინებულად თამაშობდა ჭადრაკს, ფეხბურთს, ბილიარდს, მაგიდის ჩოგბურთს, შაშს, არაჩვეულებრივი „სუნთქვის“ პატრონი მარჯვედ ცურავდა. ექსკურსია-ექსპედიციებში ფეხით ჰქონდა მოვლილი საქართველოს მრავალი კუთხე. ეგ კი არა, ერთ ზაფხულს თანამზრახველებთან ერთად „სატივეზე ტივი შეჰკრა“ და ფაფადან (ბორჯომი) თბილისამდე დაუყვა მტკვარს... ახალგაზრდობისას ნაირ-ნაირ მოსპორტულო ტრიუკებს იგონებდა.

მერაბ-მოჭადრაკეს სიჭაბუკიდან გამოჰყვა „ძველებური“ პირველი თანრიგი, ძლიერად ატარებდა როგორც ჩვეულებრივ, ისევე ელვისებურ პარტიებს. ერთ წელიწადს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის (ამჟამად ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი) ჩემპიონი გახდა, ცენტრისა, რომელიც პორველთანრიგოსნებით იყო „სავსე“. არაერთხელ უმარჯვია ხუთწუთიან ბლიცტურნირებსა თუ ბლიც-მატჩებში. მახსენდება 1976 წელი, როცა ლაგოდეხში ერთ-ერთი საკავშირო სპეციალური სამეცნიერო კონფერენცია მოეწყო. დახურვისას, სტუმრების თხოვნით, ათკაციანი გუნდები შედგა და ხუთწუთიანი რეგლამენტით გაიმართა „საუკუნის“ მატჩი საქართველოსა და დანარჩენ საბჭოთა კავშირს შორის. მერაბ ალექსიძემ ათი პარტიიდან ათივე მოიგო — ერთადერთმა მონაწილეთა შორის. მისი წყალობით მასპინძლებმა გავიმარჯვეთ. 60-იან და 70-იან წლებში სისტემატურად ტარდებოდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სპარტაკიადები (კიდევ ერთი დაკარგული ტრადიცია). ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრებაზე გამოთვლითი ცენტრის ფეხბურთელთა გუნდი ფინალში სამთო მექანიკის ინსტიტუტის ფეხბურთელებს შეხვდით. ივლისის პაპანაქებაში მატჩის ძირითადი დრო ფრედ 1-1 დასრულდა. დამატებითი დროის პირველ ნახევარში ერთ-ერთი მოთამაშე სამართლიანად გაგვიძევეს და მოედანზე ათნი დავრჩით. მეორე ნახევარი იწურებოდა, როცა საჯარიმოდან მოწოდებული ბურთი მერაბ ალექსიძემ ლამაზი თავური დარტყმით გაიტანა მეტოქის კარში და აკადემიის ჩემპიონობა არგუნა გუნდს. აკადემიის ნაკრების შემადგენლობაში მას უთამაშია უკრაინისა და ლატვიის მეცნიერებათა აკადემიებთან შეხვედრებში. დავძენ, რომ მერაბ ალექსიძე ერთ დროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრიც გახლდათ, ხოლო „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციისას აქტიურად მონაწილეობდა ოპტიმალური განათების სქემის განხილვაში.

...8 დეკემბერს აკადემიკოს მერაბ ალექსიძის დაბადების დღე იყო. ტრაგიკულად დაღუპული, ცხოვრებიდან უდროოდ წასული ამ შესანიშნავი ადამიანის, მოქალაქის, მეცნიერის (მათემატიკოსისა და გეოფიზიკოსის) ხსოვნის პატივსაცემად შევეცადე „ლელოს“ მკითხველებისათვის მეამბნა, სპორტსმენიც როგორი კარგი იყო...

თამაზ ეგანიძე

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# გათამაშების ცხრილები

## პირველი წრის საბოლოო მდგომარეობა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სამთავე ჯგუფში დასრულდა პირველი წრის შეხვედრები. „ლელოს" წინა ნომერში გაგაცანით მესამე ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა, დღეს გთავაზობთ პირველი და მეორე ჯგუფის ცხრილებს.

### პირველი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამტრედია" (სამტრედია) | 15 | 13 | 1 | 1 | 42-11 | 40 |
| „დინამო" (თბილისი) | 15 | 12 | 2 | 1 | 67-18 | 38 |
| „კოლხეთი-1913" (ფოთი) | 15 | 12 | - | 3 | 37-13 | 36 |
| „დინამო" (ბათუმი) | 15 | 9 | 2 | 4 | 36-18 | 29 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 15 | 8 | 1 | 6 | 25-22 | 25 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 15 | 7 | 3 | 5 | 21-16 | 24 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 15 | 6 | 4 | 5 | 25-32 | 22 |
| „დილა" (გორი) | 15 | 6 | 4 | 5 | 13-14 | 22 |
| „კახეთი" (თელავი) | 15 | 4 | 5 | 6 | 21-26 | 17 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 15 | 5 | 1 | 9 | 19-39 | 16 |
| „თბილისი" (თბილისი) | 15 | 4 | 4 | 7 | 17-20 | 16 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 15 | 4 | 3 | 8 | 26-30 | 15 |
| „ივერია" (ხაშური) | 15 | 4 | 2 | 9 | 18-27 | 14 |
| „მარგვეთი" (ზესტაფონი) | 15 | 3 | 3 | 9 | 10-36 | 12 |
| „საპოვნელა" (თერჯოლა) | 15 | 3 | 2 | 10 | 15-39 | 11 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 15 | - | 3 | 12 | 10-41 | 3 |

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ მეორე წრეში ძირითადი კონკურენტებიდან სამტრედიელები შინ ღებულობენ თბილისელებსა და ქუთაისელებს, სტუმრად კი ეთამაშებიან ფოთელებს, ბათუმელებსა და რუსთაველებს. თბილისის დინამოელები შინ ღებულობენ ბათუმელებს, ქუთაისელებსა და რუსთაველებს, გადიან სამტრედიაში, ფოთში. ფოთელები შინ ეთამაშებიან სამტრედიელებს, თბილისელებს, გადიან სათამაშოდ ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში.

### მეორე ჯგუფი
### აღმოსავლეთი ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიონი" (ბოლნისი) | 15 | 11 | 2 | 2 | 47-15 | 35 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 15 | 10 | 4 | 1 | 35-16 | 34 |
| „მერანი-91" (თბილისი) | 15 | 9 | 4 | 2 | 29-8 | 31 |
| „ანცი-ზოოვეტი" (თბილისი) | 15 | 9 | 4 | 2 | 36-13 | 31 |
| „მერანი-ბაჩო" (თბილისი) | 15 | 6 | 5 | 4 | 27-18 | 23 |
| „ქიზიყი" (წნორი) | 15 | 6 | 5 | 4 | 25-20 | 23 |
| „შირაქი" (დედოფლისწყარო) | 15 | 7 | 1 | 7 | 20-21 | 22 |
| „აზოტი" (რუსთავი) | 15 | 5 | 7 | 3 | 20-15 | 22 |
| „გვარდია" (თბილისი) | 15 | 6 | 3 | 6 | 22-23 | 21 |
| „ჭაბუკიანი" (ჭაბუკიანი) | 15 | 5 | - | 10 | 11-24 | 15 |
| „თორი" (ბორჯომი) | 15 | 4 | 3 | 8 | 20-32 | 15 |
| „მრეტები" (თბილისი) | 15 | 4 | 3 | 8 | 14-32 | 15 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 15 | 3 | 5 | 7 | 16-23 | 14 |
| ასკ (თბილისი) | 15 | 3 | 3 | 9 | 12-29 | 12 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 15 | 3 | 1 | 11 | 12-33 | 10 |
| „ავაზა-კრწანისი" (თბილისი) | 15 | 2 | 4 | 9 | 17-42 | 10 |

### დასავლეთი ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეშახტე" (ტყიბული) | 12 | 10 | 1 | 1 | 37-13 | 31 |
| „ეგრისი" (სენაკი) | 12 | 10 | 1 | 1 | 30-11 | 31 |
| „მერცხალი" (ოზურგეთი) | 12 | 9 | - | 3 | 25-13 | 27 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 12 | 7 | 1 | 4 | 27-14 | 22 |
| „კახაბერი" (ხელვაჩაური) | 12 | 7 | 1 | 4 | 18-18 | 22 |
| „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) | 12 | 7 | - | 5 | 13-11 | 21 |
| „სულორი" (ვანი) | 12 | 5 | 2 | 5 | 16-13 | 17 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 12 | 4 | 2 | 6 | 20-25 | 14 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 12 | 4 | 1 | 7 | 16-21 | 13 |
| „უნივერსიტეტი" (ზუგდიდი) | 12 | 4 | - | 8 | 21-29 | 12 |
| „იმერეთი" (ხონი) | 12 | 3 | 1 | 8 | 13-19 | 10 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 12 | 3 | - | 9 | 13-26 | 9 |
| „საჩინო" (ვანი) | 12 | 0 | 0 | 12 | 5-41 | 0 |

UEFA EURO 96 England

## ევროპის ჩემპიონატი

13-18 დეკემბერს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის წლევანდელი შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩები.

### I ჯგუფი

აზერბაიჯანი — საფრანგეთი 0-2
ისრაელი — რუმინეთი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| ისრაელი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 2-0 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| სლოვაკეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-8 | 0 |

### II ჯგუფი

ბელგია — ესპანეთი 1-4
მაკედონია — კვიპროსი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-12 | 12 |
| მაკედონია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| კვიპროსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| ბელგია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

### III ჯგუფი

თურქეთი — შვეიცარია 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 9 |
| შვეცია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 8-4 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

### IV ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| ლიტვა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| უკრაინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| სლოვენია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

### V ჯგუფი

მალტა — ნორვეგია 0-1
ჰოლანდია — ლუქსემბურგი 5-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-1 | 10 |
| ჰოლანდია | 4 | 2 | 2 | 0 | 10-1 | 8 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-1 | 5 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| მალტა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-11 | 0 |

### VI ჯგუფი

პორტუგალია — ლიხტენშტეინი 8-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 4 | 0 | 0 | 14-2 | 12 |
| ირლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 11-0 | 9 |
| ჩრ. ირლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| ავსტრია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-3 | 3 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| ლიხტენშტეინი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-21 | 0 |

### VII ჯგუფი

უელსი — ბულგარეთი 0-3
მოლდოვა — გერმანია 0-3
ალბანეთი — საქართველო 0-1
გერმანია — ალბანეთი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 9 |
| გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| საქართველო | 4 | 2 | 0 | 2 | 6-3 | 6 |
| მოლდოვა | 4 | 2 | 0 | 2 | 5-9 | 6 |
| უელსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-11 | 3 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-7 | 0 |

### VIII ჯგუფი

ფინეთი — სან-მარინო 4-1
საბერძნეთი — შოტლანდია 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-1 | 12 |
| შოტლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 8-3 | 7 |
| ფინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-7 | 6 |
| რუსეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| სან-მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-10 | 0 |
| ფარერის კ-ბი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-15 | 0 |

● იაპონელებმა, როგორც ვიუწყებოდით, გადაწყვიტეს წამოაყენონ თავისი კანდიდატურა ფეხბურთში მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მასპინძლად. ამ კამპანიაში მათ აქტიურ მხარდაჭერას დაპირდა ფეხბურთის მეფე პელე, რომელსაც აქვს გარკვეული გავლენა ფიფაზე.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## ჩემპიონთა ლიგა

დასრულდა ფეხბურთში ევროტურნირების საკლუბო გათამაშებათა მერვედფინალური ეტაპი, გამოვლინდნენ უძლიერესნი, რომლებიც საპატიო პრიზებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ მომავალ, 1995 წელს.

გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის გუნდების VI ტურის შეხვედრათა შედეგებს და ცხრილებს:

### „ა" ჯგუფი

„მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) — „გალათასარაი" (თურქეთი) 4-0.

„ბარსელონა" (ესპანეთი) — „გეტებორგი" (შვეცია) 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გეტებორგი" | 6 | 4 | 1 | 1 | 10-7 | 9 |
| „ბარსელონა" | 6 | 2 | 2 | 2 | 11-8 | 6 |
| „მანჩ.იუნ." | 6 | 2 | 2 | 2 | 11-11 | 6 |
| „გალათასარაი" | 6 | 1 | 1 | 4 | 3-9 | 3 |

### „ბ" ჯგუფი

„დინამო" (კიევი) — „ბაიერნი" (გერმანია) 1-4

„პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 4-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პარი სენ-ჟერმ." | 6 | 6 | 0 | 0 | 12-3 | 12 |
| „ბაიერნი" | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 6 |
| „სპარტაკი" | 6 | 1 | 2 | 3 | 8-12 | 4 |
| „დინამო" კ. | 6 | 1 | 0 | 5 | 5-11 | 2 |

### „ც" ჯგუფი

„ჰაიდუკი" (ხორვატია) — „სტიაუა" (რუმინეთი) 1-4

„ანდერლეხტი" (ბელგია) — „ბენფიკა" (პორტუგალია) 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 6 | 3 | 3 | 0 | 9-5 | 9 |
| „ჰაიდუკი" | 6 | 2 | 2 | 2 | 5-7 | 6 |
| „სტიაუა" | 6 | 1 | 3 | 2 | 7-6 | 5 |
| „ანდერლეხტი" | 6 | 0 | 4 | 2 | 4-7 | 4 |

### „დ" ჯგუფი

„აიაქსი" (ჰოლანდია) — აეკ (საბერძნეთი) 2-0

„კაზინო" (ავსტრია) — „მილანი" (იტალია) 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 6 | 4 | 2 | 0 | 9-2 | 10 |
| „მილანი" | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| „კაზინო" | 6 | 1 | 3 | 2 | 5-5 | 5 |
| აეკ | 6 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |

გამოვლინდნენ მეოთხედფინალის წყვილები:

„ბაიერნი" — „გეტებორგი"
„ჰაიდუკი" — „აიაქსი"
„ბარსელონა" — „პარი სენ-ჟერმენი"
„მილანი" — „ბენფიკა"

ამ ეტაპის პირველი მატჩები გაიმართება 1995 წლის 1 მარტს, ხოლო საპასუხო — 15 მარტს. ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან პირველ-მეორე და მესამე-მეოთხე წყვილებს შორის გამარჯვებულები.

ევროპის სპორტულმა გამოცემებმა მერვედფინალის დამთავრების შემდეგ შეადგინეს ჩემპიონთა ლიგის თავისებური სიმბოლური ნაკრები. კერძოდ, მოსკოვის „სპორტექსპრესმა" ნაკრების ასეთი ვარიანტი შესთავაზა მკითხველებს: რაველი („გეტებორგი"), კამარკი („გეტებორგი"), ბლინდი („აიაქსი"), დიენგი („პარი სენ-ჟერმენი"), ფინილი („აიაქსი"), მათეუსი („ბაიერნი"), ერლინგმარკი („გეტებორგი"), ლეგუენი („პარი სენ-ჟერმენი"), ვეა („პარი სენ-ჟერმენი"), ლიტმანენი („აიაქსი"), სტოიჩკოვი („ბარსელონა").

განვლილ შეხვედრებში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო ხ. სტოიჩკოვი, რომელმაც 11 ბურთი გაიტანა. მისმა თანაკლუბელმა რომარიომ 8 ბურთი გაიტანა, ხოლო ვეამ — 6.

## უეფას თასი

ამ ტურნირის მერვედფინალური შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა:

„რეალ-მადრიდი" (ესპანეთი) — „ოდენსე" (დანია) 0-2 (პირველი მატჩი 3-2).

„დორტმუნდი" (გერმანია) — „დეპორტივო" (ესპანეთი) 3-1 (0-1)

„ლაციო" (იტალია) — „ტრაბზონსპორი" (თურქეთი) 2-1 (2-1)

„პარმა" (იტალია) — „ატლეტიკ ბილბაო" (ესპანეთი) 4-2 (0-1)

„ბაიერი" (გერმანია) — გკს (პოლონეთი) 4-0 (4-1)

„ნაპოლი" (იტალია) — „აინტრახტი" (გერმანია) 0-1 (0-1)

„იუვენტუსი" (იტალია) — „ადმირა ვაკერი" (ავსტრია) 2-1 (3-1)

„სიონი" (შვეიცარია) — „ნანტი" (საფრანგეთი) 2-2 (0-4)

მეოთხედფინალში მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან ასევე 1995 წლის 1 და 15 მარტს (ეს წყვილები გამოვლინდნენ 14 დეკემბრის წილისყრისას ჟენევაში).

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები არიან კირსტენი („ბაიერი"). რავანელი („იუვენტუსი") — 8-8, უედეკი („ნანტი").

უეფას თასზე ბრძოლას განაგრძობს იტალიისა და გერმანიის 3-3 გუნდი და დანიისა და საფრანგეთის თითო წარმომადგენელი.

### მეოთხედფინალის წყვილები

ჟენევაში გაიმართა ევროპის თასების მფლობელთა თასისა და უეფას თასის მეოთხედფინალური წყვილების წილისყრა. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

**თასების მფლობელთა თასი**

„პორტუ" (პორტუგალია) — „სამპდორია" (იტალია)

„ბრიუგე" (ბელგია) — „არსენალი" (ინგლისი)

„ჩელსი" (ინგლისი) — „ოსერი" (დანია)

„სარაგოსა" (ესპანეთი) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია)

**უეფას თასი**

„ლაციო" (იტალია) — „დორტმუნდი" (გერმანია)

„იუვენტუსი" (იტალია) — „აინტრახტი" (გერმანია)

„პარმა" (იტალია) — „ოდენსე" (დანია)

„ნანტი" (საფრანგეთი) — „ლევერკუზენი" (გერმანია)

ყველა ეს შეჯიბრება განახლდება 1995 წლის მარტში.

## რა ხდება ქვეყანაზე

სამარანჩი [illegible]...

რეიტერის სააგენტოს ცნობით, სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი აღარ წამოაყენებს თავის კანდიდატურას ამ პოსტზე. ვალდებული ვარ, — განაცხადა მან, — პატივი ვცე სოკ-ის წევრთა ასაკობრივ ცენზს, რომელიც ჩვენვე დავამტკიცეთ. შეგახსენებთ, რომ ახლა სამარანჩი 74 წლისაა, პრეზიდენტად იგი 1980 წელს აირჩიეს.

დიდი ბრიტანეთის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენად ინგლისში დაასახელა, ვაჟებში — 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ჩემპიონი კოლინ ჯეკსონი, ქალებში — 400 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ჩემპიონი სალი განელი.

ფერარის (იტალია) კლინიკაში წარმატებით გაუკეთეს ოპერაცია ლილეჰამერის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონს მანუელა დი ჩენტას. როდის განაახლებს ვარჯიშს 31 წლის მოთხილამურე ჯერ ცნობილი არ არის.

სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა 1992 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა სინქრონულ ცურვაში, 27 წლის კანადელმა სილვია ფრეშეტმა. მას სურვილი აქვს ძალა მოსინჯოს ატლანტის ოლიმპიადაზე.

აზიის ოლიმპიური კომიტეტი თავისი შტაბ-ბინიდან იუწყება (ეს ორგანიზაცია ფუნქციონირებს კუვეიტში), რომ დოპინგის მიღებაში მხილებულ 11 ჩინელ სპორტსმენს ჩამოერთმევა აზიის თამაშებში მიღებული ოქროს მედლები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის განცხადებით „ეს ერთობ სერიოზული ინციდენტია".

გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი მძლეოსანი „შავ ქურციკად" წოდებული მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი ვილმა რუდოლფი. სახელოვან სპორტსმენთან გამოთხოვება მოხდა მისი მშრობლიური ტენესის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. რუდოლფი დაიბადა 1940 წლის 23 ივნისს, ტენესის შტატის ქალაქ კლარკსვილში. 1960 წელს რომის XVI ოლიმპიადაზე სამი ოქროს მედალი მოიგო 100 (11,0 ზურგქარით) 200 (24,0) მეტრზე რბენასა და ესტაფეტაში 4X100 მ.(44,5 — ახალი მსოფლიო რეკორდი). ოთხი წლით ადრე მელბურნის თამაშებში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, როგორც ამავე ესტაფეტის მონაწილემ. 1959 წ. პანამერიკული თამაშების ჩემპიონი. იყო მსოფლიოს რეკორდსმენი 100მ — 11,3 (1960 წ.), 11,2 (1961 წ.) და 200 მ რბენაში 22,9 (1960). 1960 წელს აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად.

კრივში მსოფლიოს ექსჩემპიონის, 27 წლის მაიკლ მურერის მენეჯერმა ჯონ დავისონმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ფორმენთან მარცხით გამოწვეულმა დეპრესიის დღეებმა გაიარა. მურერი მოვლენებს ახლა უფრო სალად აფასებს და არ არის გამორიცხული, რომ მოკლე ხანში რევანშისათვის მზადება დაიწყოსო. მურერმა პროფესიულ რინგზე 35 შეხვედრა ჩაატარა და, როგორც ვიუწყებოდით, მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. გარეთ იგი ჯერჯერობით არ გამოდის, ჩაკეტილია თავის ბინაში და გარესამყაროსთან კავშირს მხოლოდ ტელეფონითა და პირადი მდივნის მეშვეობით ამყარებს.

როგორც ჩინეთის საინფორმაციო სამსახურები იუწყებიან, 1997 წელს შანხაიში მწყობრში ჩადგება საჩოგბურთო ცენტრი და იგი არაფერში დაუდებს ტოლს სახელგანთქმულ უიმბლდონს. კომპლექსი, რომელიც თანამედროვე ტექნიკითა და კომპიუტერული სისტემებითაა აღჭურვილი, შედგება ორი დახურული და შვიდი ღია კორტისაგან. ჩინელებს განზრახული აქვთ აქტიურად ჩაებნენ მსოფლიოს საჩოგბურთო ცხოვრებაში და ოდესმე „დიდი სლემის" ერთ-ერთი ტურნირიც „დაითრიონ".

ჩოგბურთის სპონსორობა არა მარიტო პრესტიჟული, არამედ მომგებიანი საქმეც გახლავთ. ამიტომაც ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი ფირმა სპორტის ამ სახეობასთან სიამოვნებით ამყარებს საქმიან კონტაქტს. მომავალი წლიდან დევისის თასის მთავარი სპონსორი გახდება ჰოლანდიის ლუდის კონცერნი „ჰეინეკენი". შეგახსენებთ, რომ ეს კომპანია უკვე არის ერთ-ერთი საჩოგბურთო შეჯიბრების პატრონი. ეს გახლავთ აშშ-ს ღია ჩემპიონატი.

იოჰანესბურგში, სპეციალურ საზეიმო ცერემონიალზე რაგბი აღიარეს ოლიმპიურ დისციპლინად. მაგრამ, როგორც იქ სტუმრად მყოფმა სოკის პრეზიდენტმა ხუან სამარანჩმა განაცხადა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაგბის უმალ ჩართავენ მომავალი თამაშების პროგრამაში. შეგახსენებთ, რომ სპორტის ეს სახეობა ოთხჯერ იყო ოლიმპიადის „მონაწილე": 1900, 08, 20 და 24 წლებში.

რა ხდება ქვეყანაზე

## შეკითხვა „ლელოს“

გთხოვთ გვიპასუხოთ, სასწავლო დაწესებულებებში სპორტული ბაზების არამუდმივი სარგებლობისათვის რამდენია გადასახადი თბილისში?

ი.ნებიერიძე (თბილისი)

პასუხი: თბილისის მერიის 1994 წლის 15 აპრილის № 04.0319 გადაწყვეტილებით, დაწესებულია მუნიციპალური საკუთრების ნაგებობების შემდეგი ყოველკვარტალური საიჯარო გადასახადი აშშ დოლარის შესატყვისად (ადგილის კატეგორიების მიხედვით): I — კატეგორია 1 კვმ 1,6 აშშ დოლარი, II — 1,2, III — 0,8, IV — 0,6 V — 0,4, VI — 0,2.

მაგალითად, სასკოლო სპორტული დარბაზი, რომელიც მდებარეობით (უბანი) განეკუთვნება პირველ კატეგორიას და მისი საერთო ფართია 600 კვმ, ხოლო თქვენ, ეს დარბაზი გსურთ დაიქირავოთ თავისუფალ დროს (არამუდმივად) საათობრივად, ღირებულება გამოიანგარიშება შემდეგნაირად: კვარტალში 600 კვმ ფართობი ეღირება 600 X 1,6 = 960; თვეში — 960 : 3 = 320, დღეში — 320 : 30 = 10.66, ერთ საათში — 10.66 : 24 = 0,44. თუ კვირაში დარბაზი დაიქირავება 12 საათით 12 X 0,44 = 5.28, თვეში იქნება 5.28 X 4 = 21.12 აშშ დოლარი. კატეგორიების მიხედვით ფასი, ცხადია, იცვლება. II კატეგორიისა ეღირება თვეში (კვირაში 12 საათი) დაახლოებით 16 აშშ დოლარი, III — 10.66; IV — 7.99, V — 5.33; VI — 2.66.

# რესპუბლიკური ასპარეზობები

თავისუფალი ჭიდაობა. თბილისი. ტ. ალიბეგაშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდა 107 სპორტსმენი. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 43 კგ. გ. საღირაშვილი (თბ. „შევარდენი“); 46. ზ. გვილავა (თბ. „მართვე“); 50. ო. თუშიშვილი (გორი „შევარდენი“); 54. ზ. ქავთარია (თბ. „შევარდენი“); 58. დ. ზაუტაშვილი (ყვარელი, „მართვე“); 63. კ. ნოზაძე (თბ. ლ. თედიაშვილის სახ. სპორტკლუბი); 68. თ. ბენდიანიშვილი (თბ. „მართვე“); 74. შ. ხუროშვილი (თბ. „შევარდენი“); 81. შ. ბილანიშვილი (ყვარელი, „მართვე“); 88. მ. სუხიაშვილი (რუსთ. „შევარდენი“); 115. მ. ტურაშვილი (თბ. „მართვე“).

ტურნირი ჩაატარა „შევარდენის“ ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლამ (დირექტორი რ. დობორჯგინიძე), სპონსორი გახლდათ მოჭიდავეთა ფონდი (პრეზიდენტი გ. მაკასარაშვილი).

კარატე. „კიოკუში კაიკანის“ საქართველოს ფილიალის პირველობა აბსოლუტურ წონაში. გაიმარჯვა ა. ჩუბინიძემ. მეორე იყო ი. მიქელაშვილი (ორივე — თბილისი), მესამე — გ. აზარაშვილი (რუსთავი). ეს ღონისძიება მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპი იყო. საქართველოს ნაკრები სერიოზულად ემზადება 1995 წლის მსოფლიოს მე-6 ჩემპიონატისათვის, რომელიც ტოკიოში ჩატარდება.

# ნუგზარ ენდელაძე — 50

ნუგზარ ენდელაძე 50 წლისა გახდებოდა. ცხოვრებიდან უდროოდ წასული ამ დიდებული პიროვნების დაბადებიდან საიუბილეო თარილთან დაკავშირებით იმ შენობაზე, სადაც იგი ბოლო წლებში ცხოვრობდა, გაკეთდა მემორიალური დაფა, რომლის გახსნაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით ბაგებში (ტროლეიბუსის მოსახვევთან) მდებარე მოედანს და სკვერს ეწოდა ნ.ენდელაძის სახელი, პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, ფიზალზრდისა და სპორტის აკადემიამ დააწესეს ნ.ენდელაძის სახელობის სტიპენდიები, ხოლო ამ აკადემიასთან ნ.ენდელაძის თაოსნობით შექმნილ ბავშვთა სპორტსკოლას მისი სახელი მიენიჭა. ყოველივე ამის შესახებ გამოცხადდა ნ.ენდელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ შეკრებაზე, რომელიც ჭადრაკის სასახლეში გაიმართა. შეხვედრაში, რომელსაც კოტე მახარაძე უძღვებოდა, ხელოვნებისა და სპორტის ბევრმა გამოჩენილმა მუშაკმა, აგრეთვე ნ.ენდელაძის მრავალმა მეგობარმა მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრაზე მოსულებმა ყვავილებით შეამკეს ნ.ენდელაძის საფლავი.

# მარიამ კლდიაშვილი



გარდაიცვალა ქართული ჩოგბურთის ვეტერანი და თვალსაჩინო მოღვაწე მარიამ კლდიაშვილი. დაიბადა 1915 წელს, თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. 1939 წლიდან მუშაობდა ინსტიტუტის პრობლემურ ლაბორატორიაში, შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1946 წელს, თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში ჩოგბურთის მწვრთნელად. ახალგაზრდებს ზრდიდა, აგრეთვე, თბილისის და რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლებში, წლების მანძილზე იყო საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი და საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წამყვანი სპეციალისტი.

ქალბატონ მარიამ კლდიაშვილის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული ჩოგბურთის განვითარება. სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, თავის მეუღლესთან, ვლადიმერ სერებრიანიკოვთან ერთად აღზარდეს საერთაშორისო კლასის ჩოგბურთელები: თემურ კაკულია, ირინა ერმოლოვა, ალა ივანოვა, ალიოშა ვერულავა, ვლადიმერ პერეგუდოვი და მრავალი სხვა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ქართულ საჩოგბურთო სკოლას.

ქალბატონი მარიამი სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით საქართველოში, მის ფარგლებს გარეთ. იყო თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი, პრინციპული, მომთხოვნი და ამავე დროს საოცრად მზრუნველი და კეთილი ადამიანი.

ქალბატონი მარიამის სიკვდილი უდიდესი დანაკლისია ქართული ჩოგბურთისა და მთლიანად ქართული სპორტისათვის.

საქართველოს სპორტის
დეპარტამენტი,
ჩოგბურთის ფედერაცია.

# ლევ კაპიტანოვი



ჭიდაობის ვეტერანთა რიგებს კიდევ ერთი ამაგდარი გამოაკლდა. გარდაიცვალა ქართული სპორტის ძველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, დამსახურებული მწვრთნელი, მსაჯი და მასწავლებელი ლევ ნიკოლოზის ძე კაპიტანოვი.

დაიბადა 1910 წელს თბილისში. დაამთავრა ჯერ საშუალო სკოლა, შემდეგ ფიზკულტურის ინსტრუქტორთა კურსები. ვარჯიშობდა ფეხბურთში, ტანვარჯიშში, ბოლოს კი სერიოზულად მოკიდა ხელი ბერძნულ რომაულ ჭიდაობას და მისი ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. იყო საქართველოს ჩემპიონი, ამიერკავკასიის პირველობის პრიზიორი.

პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო „დინამოში“ 1929 წელს. ავარჯიშებდა ტანმოვარჯიშეებსა და მოჭიდავეებს. 1941-45 წლების ომი დაამთავრა ბერლინში ოფიცრის ჩინით. დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ თბილისში და აქტიურ სამწვრთნელო მუშაობას შეუდგა „შრომით რეზერვებში“, პარალელურად, დაუსწრებლად დაამთავრა ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

ლევ კაპიტანოვმა აღზარდა მოჭიდავეთა მთელი თაობა, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონი მირიან ცალქალამანიძე, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ომარ ბლიაძე. ყოფილი სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები რაჟდი აბრამიშვილი, ინდიკო კუჭუხიძე, ჯემალ რობაქიძე, გოგი დგებუაძე, ვახტანგ შახბაზოვი, გივი ჭულუხიძე და კიდევ ბევრი სხვა, რისთვისაც მიენიჭა სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ლვაწლმოსილი ვეტერანის ხსოვნა მუდამ დარჩება ახლობლების, მეგობრებისა და აღზრდილთა გულებში.

საქართველოს სპორტის
დეპარტამენტი,
საქართველოს ჭიდაობის
ფედერაცია

# პროფესიული რინგის სიახლენი

თავდაპირველად პრესაში გამოჩნდა უბრალო ცნობა იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი კრივში ევანდერ ჰოლიფილდი რინგზე აპირებს დაბრუნებასო. ამას მოჰყვა მოკრივის მენეჯერის შელი ფინკელის განცხადება. მან გულით ავადმყოფი ექსჩემპიონის გადაწყვეტილება სახიფათო ავანტიურად მიიჩნია. ჰოლიფილდმა ურჩი მენეჯერი გაანთავისუფლა თანამდებობიდან და ნევადის შტატის სახელმწიფო სპორტულ კომისიაში განცხადება შეიტანა მოკრივის ლიცენზიის ხელახლა მისაღებად. ამ დღეებში კი რეიტერის სააგენტომ გადმოსცა საინტერესო ცნობა, რომლის თანახმად გაისად თებერვალში ჰონკონგის რინგზე შესაძლოა გაიმართოს მატჩი ჰოლიფილდსა და ასევე მსოფლიო ექსჩემპიონ მაიკლ უევერს შორის. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი 1980-82 წლებში ვბა-ს ვერსიით ჩემპიონის ქამარს ფლობდა.

ჯორჯ ფორმენთან გახმაურებული მარცხის შემდეგ რიდიკ ბოუ პირველ ორთაბრძოლაში შეხვდა თავის თანამემამულეს ლერი დონალდს, მოკრივეს, რომელიც მანამდე არ დამარცხებულა და გაიმარჯვა ქულებით (12 რაუნდში). ბრძოლის დამთავრების შემდეგ ბოუმ მიმართა დარბაზში მყოფ ფორმენს: ფული შეგიძლია დაიტოვო, მე მხოლოდ ტიტულის დაბრუნება მსურსო.

ამასობაში მიმდინარე სპორტული სეზონის ერთ-ერთი მთავარი სენსაციის ავტორმა ჯორჯ ფორმენმა საქმიანი კონტაქტი დაამყარა ჰოლივუდის ერთ-ერთ ფირმასთან და გადაღება დაიწყო სარეკლამო ფილმებში. მაგრამ კრივზე უარს მაინც არ ამბობს. ფორმენმა განაცხადა, რომ შეხვედება მსოფლიოს მხოლოდ ორ ექსჩემპიონს — მოჰამედ ალის, ან მაიკ ტაისონს. ალის გვარი ფორმენმა ალბათ მხოლოდ რეკლამის მიზნით დაასახელა, ვინაიდან ექსჩემპიონი მძიმე ავადმყოფია და გარეთ არც კი გამოდის. ტაისონთან შეხვედრა კი შესაძლოა მართლაც გაიმართოს. თუმცა, კაცმა არ იცის, რას მოუტანს იგი ფორმენს.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონაში, ინგლისელმა ჰერბი ჰაიდმა უარი თქვა 3,14 მილიონ დოლარზე, რომელსაც სთავაზობდნენ რიდიკ ბოუსთან მატჩისთვის. ჰაიდს მიაჩნია, რომ ჰონორარი ერთობ მცირეა.

მსოფლიოს ექსჩემპიონი სუპერსაშუალო წონაში ჯეიმს ტონი როი ჯონსთან დამარცხების შემდეგ სიკვდილით დაემუქრა თავის მენეჯერს ჯეკი კოლენსს და საკუთარ დედას. ამასთან დაკავშირებით პოლიციამ საჩივარი შეიტანა სასამართლოში, მაგრამ განცხადება მალე გამოიტანა უკან, ვინაიდან მოკრივე შეურიგდა დედასაც და მენეჯერსაც.

ჯორჯ ფორმენმა უარყო ვერსია თითქოს აპირებს ჩრდილოეთ კორეის ფესტივალში მონაწილეობას და ყოფილ კარატისტ ანტონიო ინოკისთან შეხვედრას. (გავიხსენოთ ინოკის და შოთა ჩოჩიშვილის ადრინდელი პაექრობა, რომელიც ჩვენმა ათლეტმა მოიგო). მე ჯერ პატრიოტი ვარ, — განაცხადა ფორმენმა, — და მერე სპორტსმენი, სანამ ჩემს ქვეყანას არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ჩრდილოეთ კორეასთან, მე იქ არ ჩავალ.

ქალაქ როჩესტერის (აშშ) კლინიკის ექიმმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონის ჰოლიფილდის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია და მის გულს აღარაფერი ემუქრება. მოკრივემ წარმატებით გაიარა ტესტი, რამაც მისი გამოჯანმრთელება დაადასტურა. არადა, მაიკლ მურერთან ბრძოლის შემდეგ, როცა დაკარგა ჩემპიონის ტიტული ორი ვერსიით, მას გულის მოქმედების მკვეთრი დარღვევა აღმოაჩნდა.

## იუმორი




მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

# არის თუ არა სექსი რისკი ინფარქტგადატანილთათვის?

დაანგარიშებულია, ერთი სქესობრივი აქტი ფიზიკური დატვირთვით უტოლდება ნახევარსაათიან სირბილს ან სპორტდარბაზში 40-წუთიან ვარჯიშს.

როგორც წესი, ინფარქტგადატანილთ ეშინიათ სექსის, ისე როგორც გაურბიან ყოველდღიურ, დიდ ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვას. სექსოლოგი ზ.სემიონოვა სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ: „ინფარქტგადატანილთა მხოლოდ 0,6 პროცენტი კვდება სქესობრივი აქტის დროს, მათ შორის კი 80 პროცენტი მაშინ, როცა სქესობრივი კავშირი არის არა მეუღლესთან, არამედ, სხვასთან“...

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური, შ. ებრალიძე.

## გარდაიცვალა ი. კრუმინში

65 წლის ასაკში გარდაიცვალა 50-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური თავდამსხმელი ევროპაში, რიგის არმიელთა და სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების უცვლელი წევრი იანის კრუმინში, რომლის სიმაღლე იყო 218 სმ. კრუმინში ევროპის ჩემპიონი და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი გახლდათ.

## ოსკარი დავიდ ჟიმოლას

1994 წლის სეზონის შედეგების მიხედვით საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელად გამოცხადებულია „პარი სენ-ჟერმენის“ 27 წლის ფორვარდი დავიდ ჟიმოლა. რეფერენდუმში, რომელიც მოწყობილი იყო ოსკარების განაწილების ტრადიციული მანერით, მონაწილეობდა ქვეყნის 762 პროფესიონალი ფეხბურთელი. დაჯილდოების ცერემონიალიც საზეიმო განწყობილების შესაბამისი იყო.

საუკეთესო ფეხბურთელის გარდა ოსკარი მიიღეს: მეორე დივიზიონში უძლიერესმა ჟოსლენ გურვენეკმა და ახალგაზრდებს შორის გამორჩეულმა, 22 წლის ზინედინ ზიდანმა („ბორდო“).

# ათი უმნიშვნელოვანესი მოვლენა

აპ-ს სააგენტოს ტრადიციული საახალწლო ანკეტის მონაწილეებმა დაასახელეს წლის ათი ყველაზე თვალსაჩინო სპორტული მოვლენა (შეფასება ხდებოდა ასეთი სისტემით: პირველი ადგილი — 10 ქულა, ბოლო ადგილი — 1 ქულა). გთავაზობთ ამ საინტერესო რეფერენდუმის შედეგებს:

1. ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდის გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატში — 323 ქულა;

2. „ფორმულა-1“-ის გამოჩენილი ავტომობილისტის, ბრაზილიელი აირტონ სენას ტრაგიკული დაღუპვა — 305 ქულა;

3-4. კრივში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება 45 წლის ასაკში ჯორჯ ფორმენის მიერ და არგენტინელი დიეგო მარადონას ირგვლივ ატეხილი დოპინგსკანდალი ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — თითოეულს 201 ქულა;

5. კოლუმბიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მცველის ანდრეს ესკობარის მკვლელობა თავის სამშობლოში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ — 168 ქულა;

6. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის წარმატება — 108 ქულა.

7. წლის განმავლობაში ჩინელი სპორტსმენების მიერ ნაჩვენები მაღალი შედეგები და დოპინგსკანდალი, რომელიც ამას მოჰყვა — 96 ქულა;

8. ფიგურულ ციგურაობაში ჰარდინგ-კერიგანის გახმაურებული, სკანდალური ისტორია — 79 ქულა;

9. ესპანელი ველოსიპედისტის მიგელ ინდურაინის ზედიზედ მეოთხე გამარჯვება „ტურ დე ფრანსში“ — 67 ქულა;

10. ბრაიან ლარას რეკორდი კრიკეტში — 65 ქულა.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“